საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1183

ქ. თბილისი

03/08/2021

მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ხაიშურაზე, სს „ხაიშურა ენერჯის“ 39 მვტ ჯამური სიმძლავრის ხაიშურას ჰესების კასკადის (ხაიშურა 1 ჰესი და ხაიშურა 2 ჰესი) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ხაიშურაზე, სს „ხაიშურა ენერჯის“ 39 მვტ ჯამური სიმძლავრის ხაიშურას ჰესების კასკადის (ხაიშურა 1 ჰესი და ხაიშურა 2 ჰესი) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N36 (28.07.2021);
2. სს „ხაიშურა ენერჯი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N36 (28.07.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ხაიშურა ენერჯის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ხაიშურა ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი